საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარეს ბ-ნ ფრიდონ ბურდულს

პეტიციის წარმდგენი: ივდით პირველი
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს
დასახლების საერთო კრების რჩეული
პ/ნ 36001041507
ტელ: 598 60 40 08
სოფელ უდაბნოს საერთო კრების

# პ ე ტ ი ც ი ა

( საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოდან ნარჩენების გატანის შესახებ)

ბატონო ფრიდონ,

2017 წლის 9 მაისს, სოფელ უდაბნოში გაიმართა დასახლების საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნა სოფლის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საკითხი. კრებამ ერთხმად მოიწონა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი „სოფელ უდაბნოდან ნარჩენების გატანის პროექტი“.

გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ $85^3$ მუხლის „ე“ პუნქტის და 86 მუხლის პირველი ქუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის, 86 მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განიხილოთ კრების მიერ მოწონებული პროექტი და გაატაროთ შესაბამისი ღონისძიებები მის განსახორციელებლად, მით უმეტეს, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარება თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტი თანახმად.

დანართი: „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს საერთო კრების ოქმი N1“ – 25 ფურცელი.

სოფელ უდაბნოს საერთო კრების რჩეული

ივდით პირველი

ი. პირველი
-----------------------------------------

თარიღი : 16.05.2017წ.

საქართველო
საგარეჯოს
მუნიციპალიტეტის საკრებულო
შემოს. № 36
16 05. 2017.